მეორე შეხვედრა ბასკებთან

ესპანეთის გმირი ხალხის სახელოვან ფეხბურთელებთან მეორე – 30 ივლისის ამხანაგურმა შეხვედრამაც უდიდესი სპორტული ინტერესი გამოიწვია თბილისის ფიზკულტურულ საზოგადოებრიობაში.

ამხანაგ ლ. ბერიას სახ. სტადიონი ამ დღესაც საზეიმოდ გამოიყურება: ამაყად ფრიალებენ საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის დროშები, გმირული ესპანეთის ხალხისადმი მხურვალე მისალმებებითაა აფერადებული იარუსები, 30 ათასზე მეტი მაყურებელი დღესაც მხურვალე ოვაციებით ეგებება სახელოვან სტუმრებს – ესპანეთის რესპუბლიკური არმიის თავდადებულ მებრძოლებს და ფეხბურთის მოედნის სრულყოფილ ოსტატებს.

6 საათსა და 25 წუთზე მოედანზე გამოდის მსაჯი შელჩკოვი თავის ორი თანაშემწით. გაისმა "მოწინააღმდეგეთა" გამოწვევის ნიშანი. სტადიონი გაინაბა. მოედანზე გამორბის ბასკთა ქვეყნის ნაკრები გუნდი: მეკარე – გრეგორიო ბლასკო, მცველები – პედრო არესო და სერაფინ აედო; ნახევარდაცვა – ახსელ სუბიეტა, ხოზე მეგუერსა და ლეონარდო სილაურენა; თავდასხმა – ემილიო ალონსო, ენრიკო ლარინაგა, ისიდრო ლანგარა, პედრო რეგეირო და გილერმო გოროსტიცა. ბასკთა ნაკრებს მეთაურობს გოროსტიცა, რომელიც გუნდის კაპიტანის – ლუის რეგეიროს ავადმყოფობის გამო ასრულებს ამ უკანასკნელის მოვალეობას.

მალე მოედანზე საქართველოს ნაკრებიც გამოდის: მეკარე – დოროხოვი, მცველები – შავგულიძე და ჭუმბურიძე, ნახევარდაცვა – გაგუა, მინაევი და ჯორბენაძე; თავდასხმა – გ. ჯეჯელავა, ვ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, მ. ბერძენიშვილი და გავაშელი. საქართველოს ნაკრებს – ცოცხალ ყვავილთა ვეებერთელა თაიგულით ხელში მიუძღვება გუნდის კაპიტანი ორდენოსანი შ. შავგულიძე.

გუნდების ტრადიციული მისალმების შემდეგ შ. შავგულიძემ ბასკთა ნაკრების კაპიტანს გ. გოროსტიცას გულთბილი სალამით გადასცა ყვავილთა თაიგული. სტადიონზე მხურვალე ოვაციამ იგრიალა. კაპიტნები მიესალმნენ მსაჯს, აირჩიეს მოედანი და განლაგდნენ.

6 ს. 30 წუთზე გაისმა მსაჯის ნიშანი და თამაშს საქართველოს ნაკრები იწყებს. მოკლე ბურთების რამდენიმე მოხდენილი გადაცემით საქართველოს ნაკრების თავდასხმა სტუმრების საჯარიმო მოედანზე შედგა და პირველ ხელსაყრელ მომენტშივე გაგზავნა ბურთი კარებისაკენ, მაგრამ ბასკთა მშვიდი მეკარე ბლასკო გაუჭირვებლად იღებს პირველ ბურთს. ერთი წუთის შემდეგ კარებიდან გამოვარდნილმა ბლასკომ უკვე მაღალი და მეტად სახიფათო ბურთი გაიტაცა კარებიდან და ცენტრში გადაგზავნა. მიღებული ბურთი სტუმრებმა ელვის სისწრაფით გადაიტანეს მოწინააღმდეგის მოედანზე. ახლა უკვე დოროხოვი აბრუნებს ბურთს ცენტრში.

მე-5 წუთზე სტუმრებმა მძლავრი იერიში მიიტანეს საქართველოს ნაკრების კარებზე. ბასკთა მარცხენა გარემარბი ალონსო ინსაიდ ლარინაგასთან ერთად ელვის სისწრაფით გაიტაცებს ბურთს კარებისაკენ. საჯარიმო მოედანზე შემდგარი – მოხერხებულად ააცდენს ბურთს წინ შემოხვედრილ თავდაცვას და დასკვნითი დარტყმისათვის ბურთს თავისუფალ ფართობზე გაუგორებს ლარინაგას. კარების მარცხენა კუთხეში მძლავრად დაირხევა ბადე. ბასკთა ფარზე აიმართება ციფრი "1".

მაყურებელთა შორის ჯერ არც კი იყო მიწყნარებული სტუმრების პირველი წარმატებით გამოწვეული ჟრიამული და საქართველოს ნაკრებიც ვერ გამორკვეულიყო პირველი მარცხისაგან, რომ სტუმრებმა კვლავ დამარბეველი იერიში მიიტანეს. საქართველოს ნაკრების კარებთან სახიფათო მომენტებს ამ ჯერზე უკვე ლანგარი ქმნის. თავდაცვა მიეჭრება მოძრაობაში მოყვანილ "ტანკს", მაგრამ ლანგარა – გადამწყვეტ მომენტში ბურთს თავისუფლად მყოფ ალონსოს აწვდის, რომელიც მძლავრი დარტყმით "მკვდარ" ბურთს აგზავნის კარებში. დოროხოვის ვეფხისებური ნახტომი უშედეგო გამოდგა. მან მხოლოდ ოდნავ შეახო თითები ბურთს. საქართველოს ნაკრების კარებში მეორედ დაირხა ბადე.

ამ მეორე მარცხს საქართველოს ნაკრებმა თამაშის ტემპის უჩვეულო გაცხოველებით უპასუხა. "დრიბლინგების" ოსტატი – ბ. პაიჭაძე მოხდენილად უსხლტება ხელიდან წინ შემოხვედრილ ნახევარდაცვას და კარებიდან 10-12 მეტრში ზუსტად აწვდის დაბალ ბურთს მარცხენა გარემარბ ჯეჯელავას, რომელიც მიღებისთანავე ძლიერი დარტყმით აგზავნის მას კარებში. სტადიონმა აღფრთოვანების მძლავრი შეძახება გააყოლა მოხდენილ "შუტს", მაგრამ ბლასკომ მშვიდი ნახტომით აიტაცა ბურთი და კვლავ ცენტს დაუბრუნა. მე-10 წუთზე პაიჭაძე გატაცებული ბურთით კვლავ შედგება სტუმრების საჯარიმო მოედანზე და კარებიდან რამოდენიმე მეტრში – უკვე თავისუფლად დასარტყამ ბურთს უგორებს მარჯვენა გარემარბს, მაგრამ გავაშელი "ოვსაიდში" – ბურთის მიღებისას მცველებს უკან აღმოჩნდება.

მე-13 წუთზე გარღვევაზე წამოსულ გოროსტიცას წინიდან ჭუმბურიძე შეეგება. საჯარიმო მოედნის ცენტრში ლანგარასათვის გადმოწოდებულ ბურთს მარცხენა ხავბეკი გაგუა უსწრებს და ასაღებად მიუგორებს დოროხოვს. ამ მანევრში თითქოს სახიფათო არაფერი იყო, მაგრამ მოულოდნელად ადგილიდან მოსხლეტილი ლანგარა რამოდენიმე ნახტომით ჩნდება ბურთთან. ერთი წამის დაყოვნებას შეიძლებოდა მესამე მარცხი მოჰყოლოდა, მაგრამ დასარტყმელად შემართულ ფეხიდან – დოროხოვი დროული ნახტომით ააცლის მას ბურთს – "მკვდარი" ბურთების ოსტატს. მე-16 წუთზე გოროსტიცას მძლავრ კუთხურ ბურთს – შორი ნახტომით ჰაერში გაწოლილი დოროხოვი კორნერში აგზავნის. მე-25 წუთზე ლანგარა ორჯერ არღვევს მცველთა ხაზს, მაგრამ დოროხოვი ორივეჯერ შემართულ ფეხიდან იტაცებს სახიფათო ბურთებს. 36-ე წუთზე მცველთა ხაზის გარღვევა ლანგარამ უკვე ბრწყინვალეთ გამოიყენა. უმძლავრესი "შუტით" გაგზავნილი ბურთი ზედა ძელიდან რეკოშეტით წამოვიდა და კარების მარცხენა კუთხეში "დამშვიდდა". ასეთი ბურთების ასაღებად საუკეთესო მეკარეებიც კი ზედმეტად თვლიან ნახტომებს.

3:0 ბასკთა ნაკრების სასარგებლოდ. ვფიქრობდით, რომ ამ ანგარიშის შემდეგ წინააღმდეგობის გაწევის ნებისყოფა უკვე არ აღმოაჩნდებოდა საქართველოს ნაკრებს, მაგრამ მოხდა პირიქით. ნებისყოფის უდიდესი სიმტკიცე გამოიჩინა საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც თამაშის მეტად მაღალი, დამარბეველი ტემპი შესთავაზა სტუმრებს. ამ მძლავრ იერიშებს ბასკთა ნაკრები მთელი კოლექტივით თავდაცვაში დაუხვდა და უძლიერესი იერიშებიც ბრწყინვალედ მოიგერია. მრავალი მძლავრად დარტყმული ბურთები გაიგზავნა სტუმრების კარებისაკენ, რომელთა მეტი ნაწილი არაზუსტი იყო, მაგრამ აი, პაიჭაძემ განუმეორებელი გარღვევა გააკეთა და კარებიდან გამოსულ ბლასკოსთან პირისპირ დარჩენილმა მძლავრი "შუტი" გამართა. ნაღდი საპასუხო ბურთით აღფრთოვანებულ "ბოლელშჩიკების" მძლავრი ყიჟინა და კარების მარცხენა სვეტზე მოხვედრილ ბურთის უკან, საჯარიმო მოედანზე გამობრუნება ერთი იყო. მე-40 წუთზე მ. ბერძენიშვილს ცვლის ლ. ლოლაძე. ტაიმის ბოლომდე ანგარიში 3:0 არ შეცვლილა.

მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრები რამდენიმედ შეცვლილ შემადგენლობით გამოდის: ჯეჯელავას ცვლის აფრიდონიძე, გაგუას – ანიკინი. თამაშს საქართველოს ნაკრები თავიდანვე მძლავრი იერიშებით იწყებს და ინიციატივას ბოლომდეც ინარჩუნებს. პირველ 5 წუთში ბლასკომ უკვე რამდენიმე აუღებელი ბურთი ააცდინა კარებს. სტუმრების საჯარიმო მოედანზე შექმნილ სახიფათო მომენტში ერთ-ერთი მცველი ხელით ეხება ბურთს. მსაჯის ნიშანი და სტუმრები ჯარიმდებიან 11 მეტრიანი თავისუფალ დარტყმით. სტადიონი ნერვიულად ახმაურდა. პენალტების ოსტატი – მ. ბერძენიშვილი არ არის მოედანზე და ყველა შიშობს ნაღდი ბურთის დაკარგვას, მაგრამ ბ. პაიჭაძის მძლავრად დარტყმულ ბურთს მუდამ მშვიდი ბლასკო მხოლოდ კარების მარცხენა კუთხეში, ბადეში გახვეულს მიუსწრებს. ანგარიში – 3:1. რამდენიმე წუთის შემდეგ ლოლაძის მძლავრ "შუტს" კარების ზედა ძელი აბრუნებს. უკანვე ზედიზედ კიდევ რამდენიმე ბურთი იგზავნება სტუმრების კარებში, მაგრამ დარტყმები არ არის ზუსტი. სტუმრები მძლავრი კონტრიერიშით შეეცადნენ თამაშის ინიციატივის ხელში ჩაგდებას, მაგრამ უშედეგოდ. საქართველოს ნაკრების თავდასხმა გადაულახავ წინააღმდეგობად აღიმართა მათ წინ. ანგარიში 3:1 ბასკთა ნაკრების სასარგებლოდ, თამაშის დამთავრებამდე არ შეცვლილა.

ბასკთა ქვეყნის ნაკრების ეს მეორე შეხვედრა ექსტრა-კლასის საუკეთესო დემონსტრაცია იყო, რომელიც შეხვედრის 1-ელ ტაიმში ხასიათდებოდა დამარბეველ შედეგიან თავდასხმებით, ხოლო მე-2 ტაიმში – ხანგამოშვებით თავდასხმასთან შეზავებულ ბრწყინვალე თავდაცვით. ნაკლები რბენით ბურთის მაქსიმალურ დინამიურობას, გადაცემების კლასიკურ სიზუსტეს და უძნელესი ბურთების როგორც თავით, ისე ფეხებით ოსტატურად აღებას – მაყურებელთა შორის არაერთხელ გამოუწვევია აღფრთოვანება.

საქართველოს ნაკრების ამ დღის თამაში უდაოდ შექების ღირსია. მიუხედავად იმისა, რომ პირველ 5 წუთში სტუმრებმა ორი ბურთი გაატარეს საქართველოს ნაკრების კარებში, ეს უკანასკნელი შეხვედრის ამ თითქმის გადამწყვეტ უპირატესობას არ დაუბნევია. თავდაცვის განმტკიცებით, თავდამსხმელთა ხუთეული ენერგიულად გადავიდა მძლავრ კონტრშეტევაზე, რომლის მოგერიება მოსალოდნელი იყო მხოლოდ ისეთ ფეხბურთელებისაგან, როგორიც ბასკთა ნაკრების სრულყოფილი ოსტატებია. დაბალი, მოკლე ბურთებით იერიშზე გადასულ მოწინააღმდეგეს სტუმრები მუდამ მაღალი და გრძელი ბურთებით პასუხობდნენ. მართლაც, ბასკი ფეხბურთელები კლასიკურად თამაშობენ თავით და სწორედ ამიტომ მუდამ გრძელ და მაღალ ბურთებში გადააქვთ თამაში. ჩვენი ფეხბურთელები, მართალია ძლიერები არიან დაბალ ბურთებში, მაგრამ სამაგიეროდ დიდ ენერგიასა და დროს ხარჯავენ ბურთების პროგრესულობის მისაღწევად; ამ გარემოებას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც

გამძლეობის შენარჩუნების, ისე გადამწყვეტ მომენტებში დროის (სეკუნდების და მეათედ სეკუნდების) მოგების საქმეში. ეს ნაკლი ჩვენმა ოსტატებმა უახლოეს დროში უნდა დასძლიონ.

ამ დღეს განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ მეკარე დოროხოვი, მცველი – შავგულიძე და თავდასხმის ცენტრი პაიჭაძე.

პენალტი.ი
“ახალგაზრდა კომუნისტი”, 2 აგვისტო, 1937 წ.